

თბილისი

2024





რაფიელ
პრისტავი

200

RAPHIEL ERISTAVI

UDC(უაკ) 821.353.1.09
კ-367

პროექტის იდეისა და კონცეფციის ავტორი: ეკა კაჭარავა

Author of the Idea, Concept and Design of the project: Eka Kacharava

რედაქტორები: თინათინ ლუდუშაური, თეა თვალავაძე

Editors: Tinatin Ghudushauri, Tea Tvalavadze

ტექსტის რედაქტორი: თამარ შარაბიძე

Editor of the text: Tamar Sharabidze

პუბლიკაცია მომზადდა ეკა კაჭარავას, აკა მორჩილაძის, ია ლადუას, ხათუნა ქოქრაშვილის, ესმა მანიას, ნესტან სულავას, თამარ ბელაშვილის, თამარ შარაბიძის ავტორობით

The publication was prepared under the authorship of Eka Kacharava, Aka Morchiladze, Ia Ghadua, Khatuna Kokrashvili, Esmā Mania, Nestan Sulava, Tamar Belashvili, Tamar Sharabidze

დიზაინი-დაკაბადონება: ფატი გაგულია

Design-Reimposition: Phati Gagulia

ბეჭდვა: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

Printing: National Parliamentary Library of Georgia

პუბლიკაციაში გამოყენებულია გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, რაფიელ ერისთავის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის, კერძო კოლექციების საარქივო დოკუმენტური და ფოტომასალა

The publication uses archival documentary and photo materials from G. Leonidze State Museum of Georgian Literature, K. Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts, National Parliamentary Library of Georgia and Raphael Eristavi Museum, private collections

თარგმანი: ინგლისურ ენაზე: ანა ყიფიანი

სომხური ენიდან: ნათია ჩანტლაძე

Translation: Into English: Ana Kipiani

From Armenian: Natia Chantladze

© საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2024

© საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა შპს „ფავორიტი სტილში“

ISBN 978-9941-9867-8-9

DOI <https://doi.org/10.62343/rafieli.2024>

პროექტის განხორციელებაში მხარდაჭერისა და თანამშრომლობისათვის მადლობა:

საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, მანანა სანაძეს; გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, ლაშა ბაქრაძეს, თანამშრომლებს – მარინე ყიფიანს, ნანა კობალაძეს, დავით ბუაჩიძეს; საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საბიბლიოთეკო რესურსების დეპარტამენტის დირექტორს, ლევან თაქთაქიშვილს, თანამშრომლებს – მაია მიქაბერიძეს, ქეთევან თომაძეს; საქართველოს კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს, ზაალ აბაშიძეს, უფროს მეცნიერ-თანამშრომელს – ესმა მანიას; რაფიელ ერისთავის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის დირექტორს, ბელა ფშაველიშვილსა და მეცნიერ მუშაკს, ნანა ოვეჩკინას

Thanks for the support and cooperation in the implementation of the project:

Director of Tamaz Beradze Institute of Georgian Studies of the University of Georgia – Manana Sanadze, Director of Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature – Lasha Bakradze, employees – Marine Kipiani, Nana Kobaladze, Davit Buachidze, Deputy Director of National Parliamentary Library of Georgia – Levan Taktakishvili, employees – Maia Mikaberidze, Ketevan Tomadze, Director of Korneli Kekelidze Georgian National Centre of Manuscripts – Zaal Abashidze, Senior Scientific Researcher – Esma Mania, Director of Raphiel Eristavi House Museum – Bela Pshavelishvili and the Museum scientific worker – Nana Ovechkina





შინაარსი

Content

საავტორო წინათქმა

Introduction 11

რაფიელ ერისთავის ბიოგრაფია – ეკა კაჭარავა

Biography of Raphael Eristavi – Eka Kacharava 21

სამშობლოს კაცი – აკა მორჩილაძე

A Man of Homeland – Aka Morchiladze 69

რაფიელ ერისთავის იუბილე – საერო დღესასწაული – ია ღაღუა

Anniversary of Raphael Eristavi – A Secular Holiday – Ia Ghadua 83

ილუსტრირებული ადრესები

The Illustrated Missive Cards 99

რაფიელ ერისთავის ჯილდოები სამოხელეო, სამეცნიერო და საზოგადოებრივი

მოღვაწეობისთვის – ხათუნა ქოქრაშვილი

Awards for Official, Scientific and Public Activities of Raphael Eristavi – Khatuna Kokrashvili 129

პორტრეტი პირადი წერილების პრიზმიდან – ესმა მანია

A Portrait from the Prism of Private Letters – Esma Mania 161

„ვეფხისტყაოსნის“ ქართველიშვილისეული გამოცემა და რაფიელ ერისთავი – ნესტან სულავა

Kartvelishvili Edition of “the Knight in the Panther’s Skin” and Raphael Eristavi – Nestan Sulava 187

მიხაი ზიჩის ილუსტრაციები შოთა რუსთაველის პოემისთვის „ვეფხისტყაოსანი“ –

თამარ ბელაშვილი

Mihály Zichy Illustrations for Shota Rustaveli’s Poem „the Knight in the Panther’s Skin“ –

Tamar Belashvili 199

რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივ-ლიტერატურული აზროვნება – თამარ შარაბიძე

Socio-Literary Thinking of Raphael Eristavi – Tamar Sharabidze 217

„მოდით და იხილეთ, სიკვდილი საზოგადო მოღვაწისა როგორ გარდიქცევის სიცოცხლედ...“ –

ეკა კაჭარავა

„Come and See How the Death of the Public Figure Turns into Life“ – Eka Kacharava 231

ანოტირებული პერსონალია

Annotated List of Persons 271

ბიბლიოგრაფია

Bibliography 305




2024 წლის აპრილში გამორჩეულ ქართველ მამულიშვილსა და მოღვაწეს, რაფიელ დავითის ძე ერისთავს, დაბადებიდან 200 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით პროექტის „ადამიანი და ეპოქა – რაფიელ ერისთავი – 200“ ფარგლებში მომზადდა სამეცნიერო კონფერენცია, რამდენიმე პუბლიკაცია და საიუბილეო ღონისძიება.

პროექტს აქვს სამეცნიერო, საგანმანათლებლო, კულტურულ-შემეცნებითი დანიშნულება და მისი უმთავრესი მიზანია, იუბილარის მრავალწლიანი მოღვაწეობის, მისი ეროვნული, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ღვაწლის ახლებურად გააზრება და წარმოჩენა.

გამოცემა „რაფიელ ერისთავი – 200“ ამ პროექტის ნაწილია და მომზადდა ინსტიტუციური და ინტერდისციპლინური თანამშრომლობის შედეგად – საქართველოს უნივერსიტეტის თამაზ ბერაძის სახელობის ქართველოლოგიის ინსტიტუტის, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმის, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის, რაფიელ ერისთავის სახელობის სახელმწიფო მუზეუმის მონაწილეობით.

In April 2024, the 200th anniversary of the birth of Raphiel Eristavi, the outstanding Georgian patriot and statesman, will be celebrated. In connection with the anniversary date, scientific conference, several publications and anniversary events are being prepared within the project – „Man and Era – Raphiel Eristavi – 200“. The project has a scientific, educational, cultural-cognitive purpose, and its main goal is to understand and present the celebrant’s long-term work, his national, scientific and public merits in a new way. The publication „Raphiel Eristavi – 200“ is part of this project and was prepared as a result of institutional and interdisciplinary cooperation – Tamaz Beradze Institute of Georgian Studies of the University of Georgia, Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature, National Parliamentary Library of Georgia, Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts, Rafiel Eristavi House Museum.



საავტორო წინათქმა

წინამდებარე პუბლიკაციის ავტორთა მიზანია, რაფიელ ერისთავის შემოქმედებითი, სამეცნიერო და საზოგადოებრივი საქმიანობის მნიშვნელოვანი აქცენტების გათვალსაზრისით და ეპოქის ჩარჩოში მწერლის მამულიშვილური პორტრეტის განსხვავებული და ცოცხალი სახით წარმოჩენა.

რაფიელ ერისთავი არაგვის ერისთავთა შთამომავალია. მისი საგვარეულო სახლი ფეოდალური დაპირისპირების სისხლიან სისასტიკეს შეეწირა. სასწაულებრივად გადარჩენილმა მისმა წინაპარმა, განადგურების შიშითა და არაგვის საერისთავოს ოდესღაც დაბრუნების იმედით, თავი ერეკლე მეფის კარს შეაფარა. სამეფო სახლმა უმსხვილესი და უძლიერესი ფეოდალური ოჯახის ფიზიკურ განადგურებას გადარჩენილი შთამომავალნი შეიფარა, თუმცა შეპირებული საგვარეულო მამული აღარ დაუბრუნა და არაგვის ერისთავთა ტიტულატურიდან სამუდამოდ გააქრო ცნება „არაგვი“. სანაცვლოდ მათი ნებითვე შერჩეულ ახმეტის სოფელ ქისტაურში დაასახლა და არაგვის საერისთავოს თავად დაეუფლა. ამიერიდან არაგვის ხეობას იძულებით მოწყვეტილ ერისთავთა სამკვიდრო ქისტაურია. მოგვიანებით რაფიელისთვისაც ეს პატარა, კავკასიონის ხედით დამშვენებული, კახური სოფელი სამშობლოს სამშობლოდ იქცა.

უსაზღვროა მწერლის ინტერესთა და მოღვაწეობის სფერო – ლექსით დაწყებული, თამბაქოს მოყვანითა თუ ნავთობის მოძიებით დასრულებული. რაფიელი იყო არქეოლოგიური კვლევის ფუძემდებელი დასავლეთ საქართველოში, ქართული სიძველეების მაძიებელი და შემკრები, ეთნოლოგი, ისტორიკოსი, ლექსიკოლოგი, ლექსიკოგრაფი, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ჟურნალისტი, პოეტი, მწერალი, დრამატურგი, მსახიობი და სუფლიორი, რედაქტორი, ცენზორი, სამართლის მცოდნე და ადვოკატი, სამუზეუმო საქმის პროფესიონალი, კოლექციონერი, ფიტონომის ფუძემდებელი, ქველმოქმედი. ის გახლდათ არაერთი სამეცნიერო საზოგადოების წევრი, არაერთი კულტურულ-საგანმანათლებლო საზოგადოებისა თუ კომისიის დაარსების ინიციატორი და ქმედითი წევრი (ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ერთ-ერთი დამფუძნებელი, პირველი გამგეობის საპატიო წევრი, დრამატული საზოგადოების დამაარსებელი და პირველი გამგეობის წევრი, თბილისის საადგილმამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტის წევრი, საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საზოგადოების ნამდვილი წევრი, კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოების ნამდვილი წევრი), ქმწკგ საზოგადოების ფინანსური მხარდაჭერისათვის გამართული ლიტერატურული საღამოების, წიგნის საგამომცემლო ქართველთა ამხანაგობის სხდომების მონაწილე – ეს მისი ჩუმი, მუხლჩაუხრელი მამულიშვილური საქმიანობის არასრული ჩამონათვალია.

რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის პერიოდში ქვეყანაში პრაქტიკულად არ განხორციელებულა თითქმის არც ერთი ეროვნული მნიშვნელობის პროექტი, რომლის ინიცირება-რეალიზების მონაწილეც მწერალი არ ყოფილიყო.

რაფიელ ერისთავის ღვაწლი მისსავე სიცოცხლეში დააფასა ქართველმა ერმა, როდესაც 1895 წლის 22 ოქტომბერს საყვარელი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის სამეცნიერო, შემოქმედებითი და საზოგადოებრივი საქმიანობის 50 წლის იუბილე საზეიმოდ აღნიშნა. ეს დღე იმთავითვე სამართლიანად იწოდა საერო დღესასწაულად.

იუბილეს ინიციატორი იყო აკაკი წერეთელი, რომელმაც 1895 წლის 22 მაისის გაზეთ „კვალში“ (№22) დაბეჭდილ სტატიაში, სახელწოდებით „საყურადღებოთ“ – რაფიელ ერისთავის საიუბილეო თარიღის აღნიშვნის აუცილებლობაზე გაამახვილა ყურადღება და ქართველ ერს მისი აღნიშვნისაკენ მოუწოდა.

იმდროინდელმა პრესამ, განსაკუთრებით კი „კვალმა“ და „ივერიამ“, იუბილეს მზადების ყოველი ეტაპი და დეტალი გააშუქა. მართალია, 1889 წელს ექვთიმე ხელაძემ ერთ წიგნად შეკრა და გამოსცა საიუბილეო მასალები, მაგრამ მასში ძირითადად 22 ოქტომბერს გამართული საზეიმო დღესასწაულია აღწერილი. პუბლიკაციისთვის აღდგენილია პრესაში გამოქვეყნებული თითოეული მასალა და მოგონება, თუ ვისი ხელშეწყობით, შრომითა თუ ორგანიზებით შედგა რაფიელ ერისთავის იუბილე, როგორ საგანგებოდ ემზადებოდა საქართველოს სხვადასხვა კუთხე ამ დღისთვის.

ასევე დეტალურადაა წარმოჩენილი იუბილეც, შთამბეჭდავი და ხალხის სიყვარულით გაჯერებული დღესასწაული. სწორედ ეს იყო ის ფასდაუდებელი ჯილდო, რომელიც ქართველმა ერმა „სამშობლო ხევსურისას“ ავტორს უძღვნა და რომელმაც იუბილარს ათქმევინა: „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბალნაროსა, მაგრამ რალა სჯობს ამ გრძნობას საერთოს, სანეტაროსა!...“

გემოთ აღნიშნული მასალების პარალელურად, პირველად ქვეყნდება ილუსტრირებული საიუბილეო ადრესები, რომლებიც დაცულია ლიტერატურის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში.

საგულისხმოა რაფიელ ერისთავის ჯილდოები და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები, რომლებიც წარმოდგენილია პუბლიკაციის ცალკე თავად. ფალერისტული მასალა საყურადღებო წყაროა ეპოქისა და ადამიანების ისტორიის შესასწავლად. ის, ისე როგორც ადამიანის მიერ შექმნილი ნებისმიერი არტეფაქტი, ფუნქციური დანიშნულების გარდა, აბსტრაქტულად მოიცავს შესაბამისი პერიოდის კულტურის მახასიათებლებს, გამოხატავს კონკრეტულ ისტორიულ ეპოქას, გვიჩვენებს სახელმწიფოს, სოციუმისა და ადამიანების ძირითად მიზანდასახულობასა და ორიენტირებს.

რაფიელ ერისთავი იყო არაერთი უმაღლესი საიმპერატორო ორდენის კავალერი, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჯილდოს მფლობელი. ამდენად, საჭიროდ მივიჩნით, სამეცნიერო ლიტერატურასა და მემუარულ წყაროებში, არქივებში შეგვეკრიბა რაფიელ ერისთავის ჯილდოების შესახებ ინფორმაცია, რომელიც მის სამოხელეო, სამეცნიერო და საზოგადოებრივ საქმიანობას უკავშირდება; შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად, სრულად აგვესახა მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის ის მოვლენები და მომენტები, რომლებიც სახელმწიფოსა თუ საზოგადოების მხრივ ჯილდოთი აღინიშნა. ამ მიმართულებით კვლევამ გამოავლინა მდიდარი ფალერისტული მასალა, რომელიც დაცულია კორნელი კეკელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში, გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში.

შესაბამისი მასალის ანალიზთან ერთად ალბომში პირველად ქვეყნდება არქივებში მოპოვებული რაფიელ ერისთავის ჯილდოების ამსახველი ვიზუალური მასალები: ორდენების, მედლების, საპატიო ნიშნების და მათთან დაკავშირებული დოკუმენტების ფოტოკოპირები.

სიახლეა ასევე რაფიელ ერისთავის მოღვაწეობის რეპრეზენტაცია მისივე ჯილდოებისა და მასთან დაკავშირებული დოკუმენტების კონტექსტის მიხედვით, რაც მე-19 საუკუნის II ნახევრის საქართველოში რუსეთის იმპერიის პოლიტიკური სისტემის ფონზე ცხადად წარმოაჩინს რაფიელ ერისთავის, როგორც პიროვნების, კარიერულ თუ შემოქმედებით პორტრეტს: მისწრაფებებსა და პრიორიტეტებს, მიზნებსა და მიღწევებს, ქართული კულტურული ფასეულობებისთვის ბრძოლის გზებს, რამაც, რუსული ადმინისტრაციის სამოხელეო კარიერის მიუხედავად, მის მოღვაწეობას ცხოვრების ბოლომდე ეროვნული სული და შინაარსი შეუნარჩუნა.

გამოცემაში შესულია რაფიელ ერისთავის ეპისტოლური მემკვიდრეობის ის ნაწილი, რომლითაც ჩვენთვის თვალსაჩინო ხდება, თუ როგორ იქმნებოდა მეცხრამეტე საუკუნის საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ცხოვრების განმაპირობებელი დიდი საქმეები და პროექტები. პირადი წერილების პრიზმაში რაფიელ ერისთავის პორტრეტი მრავალმხრივი და კომპლექსურია. ამ მასალით ხდება ცხადი, რამდენი საერთო საქმე აკავშირებდა მას ილია ჭავჭავაძესთან. ისინი თავიანთი შემოქმედებითი, საექსპერტო-სარეკომენდაციო საქმიანობით მრავალი სხდომის, კრებისა და საბჭოს ერთობლივი მონაწილეები იყვნენ.

პირადი წერილებიდან მკაფიოდ იკვეთება რაფიელ ერისთავის ინტერესთა სფერო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების, არტეფაქტების, განსაკუთრებით, ხელნაწერი წიგნებისა და ისტორიული დოკუმენტების მოძიების თვალსაზრისით. მის ადრესატებში შესაძლებელია იმ ინფორმატორების და ბიბლიოფილების მოძიება, რომელთა დახმარებითაც მწერალს ხელი მიუწვდებოდა ხელნაწერებზე (სულ მცირე, სამ ათეულამდე ხელნაწერზე).

ბუნებრივია, რაფიელ ერისთავს, როგორც ეთნოლოგსა და ლექსიკოგრაფს, ცხოველი ინტერესი ჰქონდა მეგრული და სვანური ენების მიმართ. სავარაუდოა, რომ მეგრულ ენასა და ფოლკლორს სამეგრელოში მუშაობისას ეცნობოდა; სვანურ ენასა და ფოლკლორთან დაკავშირებული კითხვებით კი ის ხშირად მიმართავდა ბესარიონ ნიჟარაძეს. მის მიერ რაფიელ ერისთავთან გაგზავნილი წერილები შეიცავს იმ სვანური ფრაზების თარგმანებს, რომლებითაც ადრესანტი ინტერესდებოდა. საერთოდ, რაფიელ ერისთავი იმდროინდელ საქართველოში ეთნოლოგიის, ეთნოგრაფიის, ფოლკლორის სფეროს ერთგვარი ლოკომოტივია. ალექსანდრე როინაშვილი თავს ვალდებულად მიიჩნევს, თავისი ექსპედიციის როგორც წინასწარი მარშრუტი, ისე ანგარიში, წერილობით აცნობოს მას.

რაფიელ ერისთავის პირადი არქივის ეპისტოლური მემკვიდრეობის ყველაზე დიდი ნაწილი ეკუთვნის ცნობილ ისტორიკოსს, აღმოსავლეთმცოდნეს, კავკასიოლოგს, ადოლფ ბერჟეს. როგორც წერილებიდან ჩანს, რაფიელ ერისთავი დახმარებას უწევდა როგორც ადოლფ ბერჟეს, ისე არნოლდ ზისერმანს. ზისერმანი ავტორია ჩვენამდე მოღწეული შვიდი წერილისა, რომელთა მთავარი თემა კავკასიაში მოგზაურობაა.

ბუნებრივია, ამ კავშირს აქვს ორმხრივი ინტერესი – საქართველოს სტუმრებს ადგილობრივი პერიპეტეების გაგების, დაზუსტების, შესაბამისად, კვალიფიციური ინფორმატორების ყოლის სურვილი აქვთ. მეორე მხრივ, კავკასიასა და უშუალოდ საქართველოში ჩამოსულთა მოღვაწეობას ქართული მხარე მიიჩნევს იმ დროისთვის ერთგვარი ჩაკეტილობის გარღვევის, მთელ რეგიონთან კულტურული და ინტელექტუალური ინტეგრაციის შესაძლებლობად.

რაფიელ ერისთავის სახე მასთან გაგზავნილი პირადი წერილების პრიზმაში რეკონსტრუირდება, როგორც პორტრეტი პროგრესული მოღვაწისა, რომელმაც მარტივად დაძლია თავისი ეპოქის სოციალური და ისტორიული სტერეოტიპები, თავისი პოტენციალი და შესაძლებლობები პროგრესული იდეოლოგიებისკენ მიმართა, შეძლო, ერთნაირად ყოფილიყო ძველი თუ ახალი თაობის წარმომადგენლის, რეტროგრადისა თუ ლიბერალის საიმედო ადრესატი.

რაფიელ ერისთავის, იაკობ გოგებაშვილისა და იონა მეუნარგიას მიერ 1880 წლის 15 ნოემბერს გაზეთ „დროების“ 241-ე ნომერში გამოქვეყნებული პირველი ერთობლივი საინფორმაციო სტატიის გამოქვეყნების შემდეგ შეიქმნა შოთა რუსთველის პოემის ტექსტის დამდგენი კომისია, რომლის წევრები პოემის სხვადასხვა ხელნაწერისა და რედაქციის შედარების საფუძველზე შეეცადნენ „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დადგენას. წერილობითი და ზეპირი წყაროები მოწმობს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადებაზე მუშაობისა და გამოცემის ინიციატორები იყვნენ რაფიელ ერისთავი, იაკობ გოგებაშვილი და იონა მეუნარგია. სწორედ მათ ჩამოაყალიბეს მოსაზრებები „ვეფხისტყაოსნის“ ახალი გამოცემის მომზადების კრიტერიუმების შესახებ. ანტიკურ ეპოქაში ჰომეროსის თხზულებებზე მუშაობის გამოცდილების კონტექსტში მათ პირველებმა შეადარეს ერთმანეთს ჰომეროსი და რუსთველი; მათვე აღნიშნეს, რომ, რაც ჰომეროსი იყო ბერძენისათვის, ისაა რუსთველი საქართველოსთვის. რაფიელ ერისთავმა, იაკობ გოგებაშვილმა და იონა მეუნარგიამ განსაზღვრეს მომავალი გამოცემის მიზანი, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ის და რით იქნებოდა განსხვავებული წინა გამოცემებისაგან; მომავალ კომისიას დაუსახეს: 1. „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის შეთანხმება ხელნაწერთა ტრადიციულ წაკითხვებთან და გამოცემათა ვარიანტების გათვალისწინება: ნაკლები ადგილების აღდგენა ხელნაწერული მონაცემების მიხედვით და ჩამატებული/შემატებული სტროფების ამოღე-

ბა; ე.ი. ტექსტი უნდა გამართულიყო ხელნაწერთა ვარიანტებისა და იმ დროისათვის არსებული გამოცემების კვალობაზე; 2. მართლწერისა და ორთოგრაფიის მოწესრიგება და 3. შესაძლებლობისამებრ, ინტერპოლატორთა ვინაობის გამორკვევა, ტექსტიდან მათი ჩანართი//დანართი სტროფების გამოყოფა. სტატიის ავტორები მიზნად ისახავდნენ პოეტის ბიოგრაფიის აღდგენასაც იმ დროს არსებული მონაცემების საფუძველზე.

კომისიის წევრები იყვნენ გრიგოლ ორბელიანი, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვახტანგ ორბელიანი, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი, ივანე მაჩაბელი, ნიკოლოზ დადიანი, დავით ერისთავი, იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელ ქიქოძე და სხვ. ეს მძიმე და შრომატევადი სამუშაო უნდა დასრულებულიყო 25 სამუშაო შეხვედრის შემდეგ. კომისიამ ერთი წლის მანძილზე მუშაობის შედეგად დაადგინა გამოსაცემი ტექსტი. რაფიელ ერისთავი აქტიურად იყო ჩართული „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტის დამდგენი კომისიის მუშაობაში, იყო რამდენიმე სხდომის თავმჯდომარე, ტექსტის წამკითხველი და უშუალო მონაწილე ტექსტის დადგენაში. კომისიას სამუშაოდ სხვა ხელნაწერებთან ერთად ჰქონდა რუსთაველის პოემის რაფიელის კუთვნილი წიგნი. რაფიელ ერისთავი ასევე მონაწილეობდა „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციებისათვის შესაქმნელად ცოცხალი სურათების დადგენაში.

1888 წლის ქართველიშვილისეული „ვეფხისტყაოსნის“ სრულიად გამორჩეულ ნაწილს მისი მხატვრულ-ვიზუალური ფორმისმიერი ინტერპრეტაცია ქმნის. იგულისხმება წიგნის ილუსტრაციები (მხატვარი მიხაი ზიჩი), თავსართ-ბოლოსართები და შრიფტი (ავტორი გრიგოლ ტატიშვილი), ყდის შემკულობა, ვარაყი თუ სხვა.

ამ გამოცემის მხატვრული გაფორმების მთლიანობა შექმნა, ერთი მხრივ, რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი უნგრელი მხატვრის ევროპულ ყაიდაზე შესრულებულმა ილუსტრაციებმა, ნასაზრდოებმა ქართული თემატიკით და იქვე, ტატიშვილისეულ ორნამენტულ წრულებში გაცხადებულმა საქართველოს ისტორიულ-კულტურული წარსულის გამორჩეულმა სახე-ხატებებმა. ეს ერთობლიობა ქართული მხატვრულ-სააზროვნო სისტემის უმთავრესი ტექსტის, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“, დასურათებას ისახავდა მიზნად. ძნელია, წარმოიდგინო უფრო ზედმიწევნითი მხატვრული მეტაფორა XIX საუკუნის საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური თუ კულტურული მდგომარეობის წარმოსახენად.

წიგნმა და მისმა მხატვრულ-ვიზუალურმა მხარემ საცნაური გახადა და აირეკლა არა მხოლოდ ის უდიდესი და უმთავრესი ზოგადეროვნული მუხტი, რომლის წყალობითაც „ვეფხისტყაოსნის“ ამ გამოცემის მომზადება საყოველთაო ეროვნულ საქმედ იქცა, არამედ ის ურთულესი ისტორიულ-პოლიტიკური რეალობაც, რომლის ფონზეც მოვლენები განვითარდა.

პუბლიკაციის ერთ-ერთი თავი – „მოდით და იხილეთ, სიკვდილი საზოგადო მოღვაწისა როგორ გარდიქცევს სიცოცხლედ...“ – მიზნად ისახავს, რაფიელ ერისთავის სიცოცხლის ბოლო წლების, გარდაცვალებისა და დაკრძალვის რეალიების რეკონსტრუქციას.

ნაკლებად ცნობილი თუ უცნობი დოკუმენტური და პერიოდული წყაროების, ლიტერატურისა და ვიზუალური მასალების ეპოქის ჭრილში გააზრებამ, ისტორიული მეხსიერების გაცოცხლების საშუალება მოგვცა; საერო მნიშვნელობის საზოგადო მოღვაწის გარდაცვალების თანმხლები ფაქტობრივი მონაცემები დაგვეხმარა თანამედროვეთა, განურჩევლად ერისა თუ ბერისა, დიდისა თუ მცირისა, მისდამი დამოკიდებულების ცოცხლად აღქმა-წარმოსახვაში. ეს მონაცემები სანდო და ობიექტური წყაროა ეროვნული მოღვაწის – რაფიელ ერისთავის სრულფასოვანი შეფასებისთვის, ამავდროულად საინტერესოა რაფიელ ერისთავის თანადროული, მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოების სურათის წარმოსახვისთვის. აღსანიშნავია ამ პერიოდის როგორც საერო, ისე სასულიერო მოღვაწეთა ეროვნული ხედვა, ეროვნულ მანკიერებათა გაცნობიერების მაღალი ხარისხი, რაფიელის პიროვნების ეროვნულ-პატრიოტულ იდეალებთან გაიგივება, მწერლის გარდაცვალების ფაქტის

ეროვნული პრობლემატიკის ჭრილში გააზრება, მის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ემოციური მუხტის ერის ეროვნული ცნობიერების გააქტიურებისა და გაერთიანებისათვის გამოყენება.

რაფიელ ერისთავი საქართველომ უდიდესი და გულწრფელი სიყვარულით დაიტირა. თუ მწერლის იუბილე საყოველთაო საერო დღესასწაულად იქცა, მისმა გარდაცვალებამ საყოველთაო საერო მწუხარება გამოიწვია.

წინამდებარე ნაშრომში წარმოჩნდა, თუ რამდენად დიდი როლი ითამაშა რაფიელ ერისთავის პოეტურმა შემოქმედებამ მე-19 საუკუნის ქართული საზოგადოებრივი აზრის გამოსაფხიზლებლად; რას ეფუძნებოდა მისი პოეტური თუ დრამატურგიული შემოქმედება, როგორი დიდი ღვაწლი აქვს მწერალს ქართველი ერის წინაშე კავკასიის საცენზურო კომიტეტში მუშაობისას და ზოგადად რაფიელ ერისთავის საზოგადოებრივი საქმიანობა როგორ გამომდინარეობს მთლიანად ეროვნული ინტერესებიდან.

ამ გამოცემის დანიშნულებაც ის არის, რომ საზოგადოებამ ობიექტურად შეაფასოს რაფიელ ერისთავის ხანგრძლივი მოღვაწეობა, არა მხოლოდ როგორც მწერლის, არამედ როგორც მეცნიერის, საზოგადო და ეროვნული მოღვაწის, რომელმაც ბრწყინვალედ გაართვა თავი ურთულეს ამოცანას იმპერიულ საქართველოში. რუსულ მუნდირში გამოწყობილმა მეცნიერმა და დიპლომატმა, მისთვის დამახასიათებელი მშვიდი, გაწონასწორებული, სიღრმისეული მიდგომით აკეთა ქართული საქმე.

Introduction

The aim of the authors of this publication is to highlight the important aspects of Raphiel Eristavi's creative, scientific and public activities and to present a distinct and lively portrait of the patriotic writer in the framework of the era.

Raphiel Eristavi is a descendant of the Eristavis of Aragvi. His ancestral house fell victim to the bloody brutality of the feudal feud. Miraculously saved, his ancestor, fearing destruction and hoping to someday return to Aragvi Saeristao, hid himself at the royal household of King Erekle. The royal household sheltered the descendants of the largest and strongest feudal family who survived the physical destruction but did not return them the promised ancestral estate to them, and had forever erased the term „Aragvi“ from the title of the Aragvi nobility. Instead, King Erekle settled them in the village of Kistauri of Akhmeta, chosen by their own free will, and took Aragvi Saeristao into his possession. From now on, Kistauri was the heirdom of the nobles who were forcibly displaced from the Aragvi valley. Later, this small Kakhetian village, gifted with a view of the Caucasus, became the homeland for Raphiel.

The scope of the writer's interests and activities is infinite – starting with writing poems and ending with tobacco growing, and oil exploration. Raphiel was the founder of archaeological research in Western Georgia, a seeker and collector of Georgian antiquities, ethnologist, historian, lexicologist, lexicographer, folklorist, publicist, translator, journalist, poet, writer, playwright, actor and prompter, editor, censor, jurist and lawyer, museum work professional, collector, founder of phytonomy in Georgia, philanthropist. He was a member of many scientific societies, the initiator and active member of the establishment of many cultural-educational societies and committees (one of the founders of the Society for the Spreading of Literacy among Georgians (ქობიანთა), an honorary member of the first administration, the founder and member of the first board of the drama society, a member of the supervisory committee of the Tbilisi Local Bank, a true member of the Imperial Geographical society's Caucasian division, a true member of the Caucasian Agricultural Society), a participant in the literary evenings held for the financial support of the Society for the Spreading of Literacy among Georgians, a participant in the meetings of the Georgian Book Publishing Association - this is an incomplete list of his silent, unwearied patriotic activities.

During the period of Raphiel Eristavi's public occupation, almost no project of national significance was implemented in the country that was not initiated and realized by the writer.

The merits of Raphiel Eristavi were appreciated by the Georgian nation during his lifetime - on October 22, 1895 the 50th anniversary of the beloved poet and public figure was solemnly celebrated. This day from then on was justly called a National Holiday.

The initiator of the jubilee was Akaki Tsereteli, who printed an article named „For attention“ in the newspaper „Kvali“ (No. 22) on May 22, 1895, drew attention to the necessity of celebrating the jubilee date of Raphiel Eristavi and encouraged the Georgian nation to celebrate it.

The press of that time, especially „Kvali“ and „Iveria“, covered every stage and detail of the anniversary preparations. It is true that in 1889, Ekvtime Kheladze compiled and published the jubilee materials into one book, but it mainly describes the solemn holiday held on October 22. Each material and memory published in the press has been restored for the publication: by whose support, readiness, work and organization the anniversary of Raphiel Eristavi took place and how different corners of Georgia specially prepared for this day. Also, the anniversary is described in detail, an impressive holiday filled with people's love. This was the price-

less award that the Georgian nation dedicated to the author of „Samshoblo Khevsurisa“ and that inspired the celebrant and made him say: „One will go and other will come to the beautiful garden, but what is better than this feeling of sweet commonality“...

In parallel with the above-mentioned materials, illustrated missive cards, which are preserved in the manuscript fund of the Museum of Literature, will be published for the first time.

Raphael Eristavi's awards and related documents, which are presented in a separate chapter of the publication, are also significant. Phaleristic materials are a remarkable source for studying the history of the era and the people. It, like any artifact created by man, in addition to its functional purpose, abstractly includes the characteristics of the culture of the relevant period, expresses a specific historical era, shows the main goals and orientations of the state, society and people.

Raphael Eristavi was a member of a number of the highest imperial orders, winner of awards of scientific and public organizations. Thus, we considered it necessary to gather information about Raphael Eristavi's awards, which are related to his official, scientific and public activities, from the scientific literature and memoir sources, from the archives; We tried to describe as fully as possible the events and moments of his life and work, which were awarded by the state or society. Research in this direction revealed rich phaleristic materials, which is preserved in Korneli Kekelidze National Center of Georgian Manuscripts and in Giorgi Leonidze State Museum of Georgian Literature.

Along with the analysis of the relevant materials, the album presents first-ever published visual materials representing Raphael Eristavi's awards found in the archives: photocopies of orders, medals, badges of honor and documents related to them.

Representation of Raphael Eristavi's work according to the context of his own awards and documents related to it is also a new prospect, which clearly presents the career and creative portrait of Raphael Eristavi as a person, against the background of the political system of the Russian Empire in Georgia in the second half of the 19th century: aspirations and priorities, goals and achievements, ways of fighting for Georgian cultural values, which, despite his official career in the Russian administration, preserved the national spirit and essence to his work until the end of his life.

The publication includes part of Raphael Eristavi's epistolary legacy, which makes it visible to us how the great works and projects shaping the public and intellectual life of the nineteenth century were created. In the prism of personal letters, the portrait of Raphael Eristavi is multifaceted and complex. From these materials, it becomes clear how many common cases connected him to Ilia Chavchavadze. With their creative, expert-recommendation activities, they were joint participants of many sessions, assemblies and councils.

Raphael Eristavi's field of interests in terms of finding cultural heritage monuments, artifacts, especially handwritten books and historical documents is clearly visible from personal letters. Among his addressees, it is possible to find informants and bibliophiles, with the help of which the writer had access to the manuscripts (at least three dozen manuscripts).

Naturally, Raphael Eristavi, as an ethnologist and lexicographer, had a keen interest in Megrelian and Svan languages. It is likely that he satisfied his interest in the Megrelian language and folklore while working in Samegrelo; he often addressed Besarion Nizharadze with questions related to the Svan language and folklore. The letters Besarion sent to Raphael contain translations of the Svan phrases that the addressee was interested in. In general, Raphael Eristavi is a kind of locomotive in the fields of ethnology, ethnography, and folklore in Georgia at that time. Aleksandre Roinishvili considers himself obliged to inform him in writing about the preliminary route and report of his expedition.

The largest part of the epistolary legacy of Raphael Eristavi's personal archive belongs to the famous histo-

rian, Orientalist, Caucasian scholar Adolph Bergé. As can be seen from the letters, Raphiel Eristavi provided assistance to both Adolph Bergé and Arnold Zisserman. Zisserman is the author of seven letters addressed to Raphiel that have reached us, the main topic of which is a trip to the Caucasus.

Naturally, this connection has a mutual interest - the guests of Georgia want to understand and clarify the local vicissitudes, and therefore try to find qualified informants. On the other hand, the Georgian side considers the activities of those who come to the Caucasus and directly to Georgia as an opportunity to break through a kind of blockage at that time, to culturally and intellectually integrate with the entire region.

Raphiel Eristavi's face is reconstructed through the prism of personal letters sent to him, as a portrait of a progressive figure who easily overcame the social and historical stereotypes of his era, directed his potential and abilities to progressive ideologies, was able to be a reliable addressee to the representatives of the old and new generation, a retrograde and a liberal alike.

After the publication of the first joint news article published by Raphiel Eristavi, Jacob Gogebashvili and Iona Meunargia on November 15, 1880, in issue 241 of the „Droeba” newspaper, a commission was created to determine the text of Shota Rustveli's poem. Its members tried to determine the text of „the Knight in the Panther's Skin” based on the comparison of different manuscripts and editions of the poem. Written and oral sources testify that Raphiel Eristavi, Jacob Gogebashvili and Iona Meunargia, and not Ilia Chavchavadze, as was previously believed, were the initiators of the work on the preparation and publication of the new edition of „the Knight in the Panther's Skin”. It was they who formed the opinions about the criteria for the preparation of the new edition of „the Knight in the Panther's Skin”. In the context of the experience of working on the literary works of Homer of the ancient era, they were the first to compare Homer and Rustveli. It was also them who noted that what Homer was for the Greeks, Rustveli was for the Georgians. Raphiel Eristavi, Jacob Gogebashvili and Iona Meunargia talked about the purpose of the next edition, what it would be like and how it would be different from the previous editions; They set the following goals for the commission: 1. The agreement of the text of „The Knight in the Panther's Skin” with the traditional readings of the manuscripts and taking into account the options of editions: restoring the missing places according to the manuscript data and removing the added stanzas; i.e. The text had to be kept on the basis of manuscript variants and editions available at that time; 2. Correction of spelling and orthography and 3. As far as possible, finding out the identity of the interpolators, and separating their insert/appendix stanzas from the text. The authors of the article also aimed to restore the biography of the poet based on the data available at that time.

The members of the commission were Grigol Orbeliani, Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Vakhtang Orbeliani, Giorgi Tsereteli, Sergey Meskhi, Nik. T. Dadiani, Davit son of Giorgi Eristavi, Imereti Bishop Gabriel Kikodze and others. This hard and time-consuming work was to be completed after 25 working meetings. As a result of one year's work, the commission determined the text to be published. Raphiel Eristavi was actively involved in the activities of the commission that was determining the text of „The Knight in the Panther's Skin”, he was the chairman of several sessions, the reader of the text and a direct participant in determining the text. Along with other manuscripts, the commission had Raphiel's copy of Rustaveli's poem to work with. Raphiel Eristavi also participated in staging live images for the illustrations of „The Knight in the Panther's Skin”.

A completely outstanding part of the 1888 Kartvelishvili version of „The Knight in the Panther's Skin” is in its artistic-visual interpretation, which is presented in the book illustrations (artist Mihály Zichy), headers-footers and font, (author Grigol Tatishvili), cover decoration, gilding, etc.

The overall artistic decoration of this edition was created, on the one hand, by the illustrations of the Hungarian artist in the service of the Russian emperor on the European scale originating from Georgian themes, and on the other hand, the distinctive features of the historical and cultural past of Georgia, expressed in Tatish-

vili's ornamental braids. This unity aimed to depict the most important text of the Georgian artistic-thought system, Shota Rustaveli's „the Knight in the Panther's Skin“. It is difficult to imagine a more precise artistic metaphor to represent the historical-political and cultural situation of 19th century Georgia.

The book and its artistic-visual side made known and reflected not only the greatest and most important national charge, thanks to which the preparation of this edition of „the Knight in the Panther's Skin“ became a general national affair, but also the most difficult historical-political reality against which the events unfolded.


One of the chapters of the publication - „Come and See how the Death of a public figure turns into Life...“ - aims to reconstruct the realities of Raphiel Eristavi's last years of life, death and burial.

Understanding little-known or unknown documentary and periodical sources, literature and visual materials in the context of the era, allowed us to revive historical memory; The actual data accompanying the death of a public figure of secular importance helped us to vividly perceive and imagine the attitude of his contemporaries, regardless of secular or clerical, big or small. These data are a reliable and objective source for a full assessment of the national figure - Raphiel Eristavi, and at the same time, interesting for depicting the image of Raphiel Eristavi's contemporaneous, 19th century Georgian society. It is worth noting the national vision of both secular and religious figures of this period, the high degree of awareness of national vices, the identification of Rafiel's personality with national-patriotic ideals, the understanding of the fact of the writer's death in terms of national problems, the use of the emotional charge related to his death to activate and unify the nation's national consciousness.

Georgia mourned Raphiel Eristavi with great and sincere love. If the anniversary of the writer became a universal secular holiday, his death caused universal secular grief.

The present work has shown us how great a role Raphiel Eristavi's poetic work played in awakening Georgian public opinion of the 19th century; What was the basis of his poetic or dramaturgical occupation, what great contribution did the writer give to the Georgian nation while working in the Caucasus Censorship Committee, and how Raphiel Eristavi's public activities, in general derive from national interests.

The purpose of this publication is for the public to objectively assess the long-term work of Raphiel Eristavi, not only as a poet and writer, but also as a scientist, public and national figure, who brilliantly coped with the most difficult task in Imperial Georgia - a scientist and diplomat dressed in a Russian uniform, who with his characteristic calmness, handled the Georgian affairs with a balanced, in-depth approach.



რაფიელ დავითის ძე ერისთავი

1824

9 აპრილი (ახალი სტილით 24 აპრილი) – დაიბადა და პაპის სახელი – რაფიელი დაერქვა.

მამა – თავადი დავით რაფიელის ძე ერისთავი (1795–1875), არაგვის ერისთავთა შთამომავალი, თავის დროისათვის განათლებული და პროგრესული, „პურადობით და სტუმართმოყვარეობით განთქმული თავადიშვილი“ იყო.

დედა – ნინო ავთანდილ ამილახვარის ასული (1804–1839), მეუღლის მსგავსად წიგნიერებთა და სიდარბაისლით გამორჩეული ქალბატონი გახლდათ.

რაფიელის მშობლების ჯვრისწერა 1820 წლის 19 იანვარს საამილახვროს სოფელ ჭალის, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში შედგა.

რაფიელ ერისთავის დაბადების ადგილთან დაკავშირებით ორი განსხვავებული მოსაზრებაა გამოთქმული. ავტორთა ნაწილი, საამილახვროს სოფელ ქვემო ჭალას, ნაწილი კი კახეთის სოფელ ქისტაურს მიიჩნევდა. ჩვენი აზრით, უფრო სავარაუდოა, მისი დაბადების ადგილი სოფელი ქვემო ჭალა ყოფილიყო, მისი დედულეთი, სადაც მისი მშობლების ჯვრისწერა შედგა. ჩვენს მოსაზრებას ადასტურებს 1901 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№68) გამოქვეყნებული არტემ ახნაზაროვის წერილი „მართლის გამოსარკვევად (მცირე შენიშვნა)“. წერილში ავტორი აღნიშნავს, რომ მისი ავტორობით შესრულებული „საბიოგრაფიო ცნობები... რომელიც დაბეჭდილი იყო 1895 წლის 22 ოქტომბერს „ივერია“-სა და აგრეთვე რუსულს გაზეთ, «Кавказ»-ში, თვით განსვენებულმა თავ. რაფიელ ერისთავმა“ მიაწოდა. „იმ დროს ტფილისი განსვენებულ პოეტის საიუბილეო მზადებაში იყო. იუბილეს წინა დღეებში, თავ. რაფიელთან ყოფნის დროს, გამახსენდა, რომ მისი ბიოგრაფია ქართულს მწერლობაში არ მოიპოვებოდა, ვთხოვე განსვენებულს და მან მამამო ყოველივე ის, რაცა მქონდა დაბეჭდილი. ამგვარად, ჩემ მიერ დაწერილი ბიოგრაფია, რაც შიგ მოთავსებულს ცნობებს შეეხება, უფრო ავტობიოგრაფიაა, რადგან ყოველი ცნობა თვით განსვენებულის პოეტის ნათხრობია. ამიტომ გავბედავ იმის თქმას, რომ ჩემი წერილი სიმართლეს უნდა აღნიშნავდეს: განსვენებული თავ. რაფიელი დაბადებულა 9 აპრილს და არა 1 აპრილს, სოფელ ჭალაში და არა სოფ. ქისტაურში“, გადმოგვცემს არტემ ახნაზაროვი.

თუმცა, 1902 წლის გაზეთ „ივერიაში“ (№71) გამოქვეყნებული, რაფიელის ძმის – იოსების უფროსი ვაჟის – ნუგზარის წერილის „სად დაიბადა რაფიელ ერისთავი“ თანახმად, რაფიელი ქისტაურშია დაბადებული: „...თავ. რაფიელ ერისთავი დაბადებულია სოფელ ქისტაურში თავ. კიაზო (გიორგი) ერისთავის სახლის ქვემო სართულის დასავლეთის კუთხის

ოთახში, რომელსაც დღევანდლამდის „რაფიელის ოთახი“ ჰქვია. ერთი შეხედვით, ნუგზარ ერისთავის წერილში დამოწმებული არგუმენტაცია რაფიელის ოჯახთან მისი სიახლოვის გამო სარწმუნოდაა მისაჩნევი. თუმცა, ვფიქრობთ, რაფიელმა თავად უკეთ უწყობდა, თუ სად დაიბადა. ამდენად, მისი დაბადების ადგილი საამილახვროს სოფელი ქვემო ჭალაა.

1825

1 აპრილი – რაფიელი მოინათლა, ადგილი უცნობია.

რაფიელის პაპა, მამის მხრიდან რაფიელ ბეჟანის ძე ერისთავი (1767-1823) იყო. ბებულის ვინაობას ვერ მივაკვლიეთ. დედის მხრიდან პაპა ავთანდილ ერასტის ძე ამილახვარი (1750-1808), ბებია – ანა (ანანა) ეგნატეს ასული თუმანიშვილი (1788-1825).

1824-1831

ადრეული ბავშვობის წლები სოფელ ქისტაურში, თბილ ოჯახურ გარემოში გაატარა.

ყველას ძალიან უყვარდა თვინიერი და გონიერი პატარა რაფო.

დედა – ნინო ამილახვარი – „კარგად გაწვრთნილი“ იყო „ჩვენის ძველის ლიტერატურითა და ისტორიით“. მან ბავშვს დაწყებითი განათლება ტრადიციულად ოჯახში მიაღებინა – შეასწავლა წერა-კითხვა, შეაყვარა მშობლიური ლიტერატურა და ისტორია: „ასმენდა „ვეფხისტყაოსანს“ და ძველ ქართველთა გმირობას „ქართლის ცხოვრებიდან“, უმღეროდა ნანას“; დილაგარდისა, ერისთავიანთ ბავშვების საყვარელი ძიძა, ქართულ ზღაპრებსა და გადმოცემებს უამბობდა, ქისტაურის გლეხობა ხატობებსა და მწე-ჩვეულებებს ცოცხლად აცნობდა. ბავშვობის დროინდელ შთაბეჭდილებებს სიკვდილის ჟამს მიახლოებულ იც ხშირად და თბილად იგონებდა. ერთ-ერთი ასეთი ძლიერი შთაბეჭდილება კახთა უმთავრესი სალოცავი და მისი ფერადოვანი დღესასწაული – ალავერდობა იყო.

რაფიელის განათლების შემდგომი ეტაპი რუსული ენის შესწავლას უკავშირდება. ქისტაურელ მემამულეთა ოჯახებმა პედაგოგად ვინმე დ. კრასნოკულოვი მიიწვია. მოწვეულ პედაგოგს თანატოლებთან ერთად რაფიელიც მიაბარეს. კრასნოკულოვი მალევე გადავიდა გრემში, შემდგომ თელავში. რუსული ენის პედაგოგმა ნიჭიერებითა და სიბეჯითით გამორჩეული მოსწავლეც ორივეგან თან წაიყვანა. თელავში კრასნოკულოვთან რაფიელმა მცირე ხანი დაჰყო.

ამ დროიდან უკვე კარგად ჩანს მამის, დავით ერისთავის, რაფიელის განათლებით დაინტერესება. მამამ შვიდი წლის რაფიელი თელავის სამაზრო სასწავლებელში შეიყვანა. ქართული ენისადმი გულგრილი დამოკიდებულებით უკმაყოფილო დავით ერისთავმა 1831 წელს რაფიელი შუამთის მონასტერში მოღვაწე, უაღრესად განათლებულ ბერს – ფილადელფოს კიკნაძეს მიაბარა.

პატარა რაფიელი მონასტერში გრამატიკას, რიტორიკასა და საეკლესიო გალობას შეისწავლიდა. ფილადელფოსმა რაფიელს ამ საგნების გარდა, თამაშით ლექსების თხზვაც ასწავლა და შეაყვარა. შუამთის მონასტერში რაფიელის სწავლების პერიოდი 1831-1832 წლებით უნდა განისაზღვროს, როდესაც რაფიელი შვიდი-რვა წლის იქნებოდა*.

რაფიელს ადრე გარდაცვლილი უფროსი დის – ეკატერინეს (კეკელა) გარდა**, ჰყავდა სამი ღვიძლი დედმამიშვილი – ერთი ძმა და ორი და.

ძმა – იოსები – სოსიკო (1829 -1889) თავისებური და რაფიელისგან სრულიად განსხვავებული მნის იყო. ის რაფიელთან ერთად გიმნაზიაში სწავლობდა, თუმცა, სწავლა საკუთარი ნებით მიატოვა და ქისტაურს დაუბრუნდა. იოსების გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ძმები ერთად ცხოვრობდნენ პანსიონში.

იოსების პირველი მეუღლე, ალექსანდრე ყაზბეგის ნახევარ-და, დარია იოსების ასული თუმანიშვილი (1835-1872) იყო. იოსებსა და დარიას ორი შვილი – ნუგზარი და ნიკოლოზი – შეეძინათ.

დები – ბარბარე და ანნა – ორივე ნიჭიერებითა და დამოუკიდებელი ხასიათით გამოირჩეული, თავის დროისათვის მეტად პროგრესული ქალბატონები იყვნენ.

ბარბარე ერისთავი-ჯორჯაძე (1833-1895) – მწერალი, პოეტი, პუბლიცისტი, ქალთა უფლებების ერთ-ერთი პირველი დამცველი, ყოფილი სამხედრო პირისა და მემამულის, ზაქარია ჯორჯაძის მეუღლე იყო. წყვილს სამი შვილი შესძენია.

ანნა ერისთავი-ჭავჭავაძე (1835-1878) – უაღრესად განათლებული, საქართველოს ისტორიისა და ქართული ლიტერატურის უზადო მცოდნე, ნიკოლოზ (დიდი ნიკო) ჭავჭავაძის მეუღლე იყო. წყვილს შვილი არ ჰყოლია.

1833-1839

რაფიელი 1833 წელს მშობლებმა გორში გადაიყვანეს სასწავლებლად.

შუამთის მონასტრის შემდგომ დავით ერისთავმა, რომელსაც კარგად ესმოდა შვილის მომავლისთვის რუსული ენის საფუძვლიანი ცოდნის მნიშვნელობა, რაფიელი ენის შესასწავლად გორში ხერსონის რაზმის ხაზინადარ, ვინმე ნ. კოჩერგინს მიაბარა. რაფიელი ნ. კოჩერგინთან ერთად ხშირად დადიოდა რუსი პოლკოვნიკის – ბირილიოვის სახლში. აქ საღამოებსა და მეჯლისებზე გორის საუკეთესო საზოგადოება იყრიდა თავს. რაფიელისათვის ეს სასარგებლო გამოცდილება იყო. ის ამ პერიოდში რუსულ ენასაც კარგად დაეუფლა.

* რაფიელს 10 წელი 1834 წელს შეუსრულდებოდა. ამ ასაკში ფილადელფოსის მოწაფე ვერ იქნებოდა, ვინაიდან 1832 წლის შეთქმულებაში მონაწილეობისათვის დაპატიმრებული ფილადელფოსი 1833 წელს გარდაიცვალა.

** არასწორია მოსაზრება, რომ რაფიელი დავითისა და ნინოს პირველი შვილი იყო. ცოლ-ქმარს რაფიელამდე ქალიშვილი შესძენიათ, რაც დოკუმენტური მასალით დასტურდება. გოგონა, სახელად ეკატერინე, რაფიელის დაბადების დროისათვის 4 წლის იყო. როგორც ჩანს, ის ადრევე გარდაიცვალა.

დედა, ნინო ამილახვარი 1839 წელს ნაადრევად, 35 წლის ასაკში, გარდაიცვალა. ამ დროს 15 წლის რაფიელი, უკვე ოჯახს დაშორებული, სასწავლებლად გორში იმყოფებოდა. ქისტაურში დარჩენილ დაობლებულ მცირეწლოვან ბავშვებს – 10 წლის სოსიკოს, 6 წლის ბარბარესა და 4 წლის ანას – ძიძა დილავარდისა უვლიდა. დაობლებულ რაფიელს გორში სწავლის პერიოდში მამის გარდა, ყურადღებას აქცევდა და ხშირად აკითხავდა საამილახვროდან დედის ახლო ნათესაობა.

1841

1841 წლისათვის სასწავლებლად თბილისში გადაჰყავთ და სწავლას გიმნაზიად გადაკეთებულ თბილისის კეთილშობილთა სასწავლებელში განაგრძობს.

ამ დროისათვის გიმნაზიაში ისწავლებოდა – საღვთო სჯული, რუსული, ქართული, გერმანული და ფრანგული ენები, გეოგრაფია და სტატისტიკა, ისტორია, ფიზიკა, რუსული სამართალი, ხატვა და ხაზვა.

რაფიელი აბარებს მისაღებ გამოცდებს. ნიჭიერებისა და მანამდე მიღებული ცოდნის წყალობით პირველის ნაცვლად მესამე კლასში ირიცხება. ვინაიდან გიმნაზიის სასწავლო კურსი 7 წლიანი იყო, ხოლო რაფიელი პირდაპირ მესამე კლასში ჩაირიცხა, სასწავლებელში ოთხი წელი უნდა დაეყო. ამდენად, 1841 წელს ჩარიცხული, სწავლას 1845 წელს დაასრულებდა. ამ პერიოდში საცხოვრებელს ხშირად იცვლიდა – ჯერ სიტყვიერების მასწავლებელ შიპულინთან, შემდეგ არზანოვის პანსიონში ცხოვრობდა, მეოთხე კლასიდან იმ დროისათვის საუკეთესო, ვალტერის პანსიონში გადავიდა, მეხუთე კლასიდან გიმნაზიაში კურსის დასრულებამდე ირიცხუხოვის პანსიონში იყო დაბინავებული.

1845

21 წლის ასაკში ასრულებს გიმნაზიაში სწავლას.

ამ დროსვე იწყება მისი სამწერლო მოღვაწეობა. ლექსს „დარიგება“ გიმნაზიის დამასრულებელ კლასში სწავლის პერიოდში წერს და ცოტა მოგვიანებით, 1852 წელს, „ცისკარში“ აქვეყნებს.

გიმნაზიის დასრულების შემდგომ, სწავლის გაგრძელების დიდი სურვილის მიუხედავად, მხედველობის გაუარესების გამო ორი წლით უბრუნდება სოფელ ქისტაურს.

1845-1846 წლებში ხან სოფლადაა ქისტაურში, ხანაც დედაქალაქში უწევს ცხოვრება.

ერისთავების ოჯახი ქისტაურში ხელნაწერ და ბეჭდურ მდიდარ ბიბლიოთეკას ფლობდა. ეს ბიბლიოთეკა რაფიელის, ასევე, მისი დების, ბარბარესა და ანას, თვითგანათლების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი იყო. ბიბლიოთეკის სიმდიდრეს საგანგებოდ აღნიშნავს მათი ევროპელი სტუმარი – მარი ფელისიტე ბროსე. ამასვე მოწმობს ბარბარესა და ანას განათლებულობა.

კახეთში ყოფნის პერიოდში აკვირდება და სწავლობს ადგილობრივ ყოფას, ჩვევებსა თუ ტრადიციებს, ამ ტრადიციათა თავისებურებებს. კახური შთაბეჭდილებები რაფიელმა წერილში, სათაურით „წერილები კახეთიდან“ გაზეთ „კავკაზის“ №№25-26-ში გამოაქვეყნა. იწყება მისი გაზეთთან „კავკაზთან“ თანამშრომლობის აქტიური და ხანგრძლივი პერიოდი. ცოტა მოგვიანებით, საინტერესო და ერთგული თანამშრომლობისათვის გაზეთის რედაქციამ რაფიელი მუდმივ თანამშრომლად მიიწვია.

აქედან მოყოლებული, მთელი მისი შეგნებული ცხოვრების მანძილზე, ეს გატაცება მშრალი, სახელმწიფო საქმიანობის სანაცვლო თავშესაფრად ექცა. სამოხელეო საქმე ეროვნული ყოფის კვლევით გააშინაარსიანა, წიგნიერებით გატაცებას სამეცნიერო ხასიათი შესძინა და მკვლევართათვის მნიშვნელოვან პირველწყაროდ აქცია. ორმოციანი წლების მეორე ნახევრიდან ის თავის დაკვირვებებსა და ჩანაწერებს სტატიების ფორმით ჯერ თანამედროვე პრესაში, შემდგომ კი ცალკეული ნაშრომების სახით აქვეყნებს.

სრულიად ახალგაზრდა, 22 წლის რაფიელი მამამ „სამსახურში მისცა“ და თიანეთში თუშფშავ-ხევსურეთის საოლქო სამმართველოში თარჯიმნად დაიწყო მუშაობა. ამ თანამდებობაზე წელიწად ნახევარი დაჰყო. თუშფშავ-ხევსურეთში ოფიციალურ საქმიანობასთან ერთად ეცნობოდა, შეისწავლიდა, ინიშნავდა ინფორმაციას მთიელთა ცხოვრების შესახებ. შემდგომ ამ დაკვირვებებმა და ჩანაწერებმა მნიშვნელოვანი პუბლიკაციის ფორმა მიიღო.

1840-50-იან წლებში არნოლდ ზისერმანს (1824-1897), ავტორს წიგნისა „ოცდახუთი წელი კავკასიაში – 1842-1867“ და რაფიელ ერისთავს აქტიური თანამშრომლობა აქვთ. რაფიელი არნოლდ ზისერმანის მრჩეველი, კონსულტანტი და ოპონენტი.

სოფელ მატანში რაფიელი საქართველოში სამუშაო მივლინებით ჩამოსულ მარი ფელისიტე ბროსეს შეხვდა, რომელსაც მამასთან, დავით ერისთავთან ერთად ქისტაურში უმასპინძლა. მარი ბროსე მოიხიბლა ერისთავების ოჯახის წევრების წიგნიერებით, საოჯახო ბიბლიოთეკითა და გულუხვი მასპინძლობით, სხვა მრავალ საკითხთან ერთად დაინტერესდა არაგვის ერისთავთა გენეალოგიით. ახალგაზრდა რაფიელი მარი ბროსესათვის საუკეთესო კონსულტანტი და მეგზური აღმოჩნდა, თიანეთში ბროსე რაფიელის საშუალებით გაეცნო არნოლდ ზისერმანს.

1850 წელს ბროსე ერისთავების ოჯახში გატარებულ დროს სანკტ-პეტერბურგში ფრანგულ ენაზე გამოქვეყნებულ წიგნში „არქეოლოგიური მოგზაურობა საქართველოსა და სომხეთში 1847-1848 წწ.“ აღწერს. აქედან მოყოლებული მათი მეგობრობა, მიმოწერა და საქმიანი ურთიერთობა 1857 წლამდე გრძელდება.

გაზეთ «Кавказ»-ში ქვეყნდება რაფიელ ერისთავის წერილები: «Письмо к другу» (№6), «Лазаре» (№10), «Свадьба у Грузин» (№14), «Охота за фазанами в Кахетии» (№20).

1848

აპრილი – რაფიელი საკუთარი ნებით ტოვებს სახელმწიფო სამსახურს. სავარაუდოდ, მარი ბროსესთან ურთიერთობის შემდგომ მას კვლავ უჩნდება სწავლის პეტერბურგში გარძელების სურვილი. არასასურველი მატერიალური მდგომარეობის გამო იძულებულია, სახელმწიფო სამსახურს დაუბრუნდეს.

გაზეთ «Кавказ»-ში ქვეყნდება წერილი – «Воспоминания о холере» (№№45, 46).

1849

მუშაობას იწყებს კავკასიის მთავარი სამმართველოს საბჭოს კანცელარიის შტატგარეშე მოსამსახურედ. ის ამ დროისათვის თბილისში მუხრანის ხიდთან, არჩილ მუხრანბატონის სახლში ცხოვრობს.

გაზეთ «Кавказ»-ში (№16) ქვეყნდება წერილები: «Маскарад грузинской черни».

წერილში „ქართველთა რწმენა-წარმოდგენები“ აერთიანებს ფოლკლორულ მასალაზე აგებულ სამ ნაშრომს: «Признак весны, царство кукушек, происхождение совь (поверья Грузин)» («Кавказ», №18).

1851

17 იანვარი – მუყაითობისთვის მთავრობის საგანგებო ბრძანებით კოლეგიის რეგისტრატორის («Колежский Регистратор») წოდებას იღებს.

ინიშნება კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიის მაგიდის უფროსის თანაშემწედ: „თავად ვ. ი. ბებუთოვის ხელ-ქვეით ორს წელიწადს სტოლის უფროსის თანაშემწედ იყო“.

2 დეკემბერი – გუბერნიის მდივნის (Губернский Секретарь) წოდება ებოძა.

1852

იწყებს ფოლკლორულ-შემკრებლობით საქმიანობას.

გაზეთ „ცისკარში“ ქვეყნდება მისი პირველი ლექსები: „დარიგება ს-ე-ა-ს-დ-ს“ და „ყვა-ვილს“ (№7).

1853

გაზეთ «Кавказь»-ში (№39) ქვეყნდება ფელეტონი – «Пожарный» (პაჟარნი).

1854

გაზეთ «Кавказь»-ში ქვეყნდება «Записки о Тушино-Пшаво-Хевсурахь» (№№43, 45, 46, 47, 49, 50, 52) და «Замечания на статью Г. Бердзенова» (№50), «Рассказы наших милиционеров. III. Воспоминание» (№№94, 95). ამ უკანასკნელში აღწერილია 1854 წლის 4 ივნისს გურიაში ჩოლოქის ბრძოლა და მასში ქართველების როლი. თურქეთთან ბრძოლის ამბებს რაფიელმა სხვა ნარკვევებიც უძღვნა.

1855

მუშაობას აგრძელებს თუშ-ფშავ-ხევსურების თემატიკაზე. ამ საკითხებზე მუშაობის დროს მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდა მარი ბროსემ, რომელმაც თავის მხრივ ეს მასალები მოსკოვის არქივში რაფიელის თხოვნით მოიძია.

25 აპრილი – ევგენი ვერდერევსკის წერილი რაფიელ ერისთავს.

საქმიანი წერილი რაფიელის პიესის რედაქტირებასა და მიძღვნას შეეხება. იხსენიება ადოლფ ბერჟე. ვერდერევსკი უგზავნის ბროსურას მარი ბროსეს ავტორობით საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურის შესახებ და სთხოვს, ყურადღება მიაქციოს 352-ე და 359-ე გვერდებს; ასევე სთხოვს, კიდევ ერთხელ გადახედოს თუშ-ფშავ-ხევსურეთის ტერიტორიების ჩამონათვალს, რადგან ეს სია სასწრაფოდ უნდა გაუგზავნოს გენერალური შტაბის კარტოგრაფიულ განყოფილებას (*სსღმ. №25005-ბ*).

თუშ-ფშავ-ხევსურეთის შესახებ გაზეთ «Кавказь»-ში გამოქვეყნებულ ნარკვევებს ცალკე ნაშრომის სახით აქვეყნებს რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების მესამე ტომში («О тушино-пшаво-хевсурском округе», ЗКОИРГО, 1855, III); ნაშრომს ერთვის რაფიელის მიერ დაზუსტებული თუშ-ფშავ-ხევსურეთის რუკა.

პუბლიკაციამ დიდი გამოხმაურება ჰპოვა, მის შესახებ იბეჭდება ჟურნალში «Современник». რაფიელის ეს ნაშრომი მოხვდა რუსეთის აკადემიის 1855 წლის ხუთ ნაწარმოებს შორის. პუბლიკაცია რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიის საზოგადოების ოქროს მედლით დაჯილდოვდა. 1855 წლის 27 ივნისს რაფიელი თბილისში 1851 წელს ჩამოყალიბებული რუსეთის გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად აირჩიეს (ЗКОИРГО, 1855, III).

ეს ფაქტი მისი სამეცნიერო აღიარება იყო. უნდა აღინიშნოს, რომ სამეცნიერო თვალსაზრისით მის ამ ნაშრომს როგორც წყაროს, დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და აქტუალობა.

თიანეთიდან თბილისში დაბრუნებამ მისი შემოქმედებითი პროდუქტიულობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. რაფიელის თიანეთიდან ჩამოსვლა უდიდეს ეროვნულ წამოწყებას – ქართული მუზეუმის შექმნისათვის სამზადისს – დაემთხვა.

დიდია მისი წვლილი ქართული მუზეუმის შექმნაში. 1855 წელს, 1852 წელს დაარსებული მუზეუმის დირექტორატის წევრის, ვლადიმერ სოლოგუბის, მიწვევით ის დიდი ენთუზიამით ჩაება სამუზეუმო საქმიანობაში. რაფიელ ერისთავი იყო ერთადერთი ქართველი, რომელიც საგანგებოდ, ფონდების მოსაწესრიგებლად, მეტწილად ეთნოგრაფიული ნივთების ადგილობრივი ტერმინოლოგიის დასადგენ-დასაზუსტებლად მიიწვიეს. რაფიელი მისთვის დამახასიათებელი რაციონალიზმითა და გონივრულობით მიუდგა საქმეს. მან პირველმა დააყენა საკითხი სამუზეუმო კოლექციების კატალოგიზაციის შესახებ და შეიმუშავა სანიმუშო მეთოდური ინსტრუქცია. მან ამ დროისათვის მუზეუმში თავმოყრილ მასალას ინვენტარიზაცია-ატრიბუცია ქვეყანაში პირველმა ჩაუტარა, ექსპონატების კატალოგიზაცია მოახდინა და საექსპოზიციოდ მოამზადა. ამ უაღრესად შრომატევადი სამუშაოების ჩატარებისათვის მას მადლობა გამოეცხადა (ЗКОИРГО, 1855, III). მუზეუმში შედგენილ კატალოგებში ყველაზე სრულყოფილად მის მიერ შესრულებული ეთნოგრაფიული ნაწილია წარმოდგენილი.

მან ახლად შექმნილ მუზეუმს თავადაც შესწირა ექსპონატები. მის მიერ მუზეუმისათვის შეწირული ნივთები 107-117 ნომრებით კავკასიის განყოფილების მუზეუმის 1856 წელს შედგენილ პირველ კატალოგშია გატარებული. ეს ძირითადად სამეურნეო და საყოფაცხოვრებო დანიშნულების ეთნოგრაფიული ნივთებია.

ადოლფ ბერჟეს სპარსეთში გამგზავრების გამო რაფიელი მუზეუმის მდივნის (ზედამხედველის) მოვალეობას ასრულებდა. აღსანიშნავია, რომ ის ამავდროულად „გუბერნიის სეკრეტარის“ ჩინით კავკასიის მეფისნაცვლის კანცელარიაშიც მუშაობდა.

ამავე პერიოდში, ვლადიმერ სოლოგუბის რუსეთში დაბრუნების შემდეგ, დადგა მუზეუმის ახალი დირექტორის კანდიდატურის შერჩევის საკითხი. არჩევანი გეოგრაფიული საზოგადოების ნამდვილ წევრზე – რაფიელ ერისთავსა და ნუმბმატ ივანე ბარტოლომეიზე შეჩერდა. გეოგრაფიულ საზოგადოებაში ჩატარებული კენჭისყრის შედეგად ორივე კანდიდატმა ხმების თანაბარი რაოდენობა მიიღო. თუმცა, როგორც თბილისში მცხოვრებს, უპირატესობა ბარტოლომეის მიენიჭა. ამ დროისათვის რაფიელი უკვე დასავლეთ საქარ-

თველოში, ქუთაისშია გადაყვანილი. მიუხედავად ამისა, ის რეცენზიებით, წერილებითა თუ რჩევებით ქუთაისიდან აქტიურად მონაწილეობდა სამუზეუმო საქმიანობაში, აგროვებდა სამუზეუმოდ ვარგის ეთნოგრაფიულ ნივთებს.

ივლისიდან ქუთაისის გუბერნატორის – თავად ივანე მუხრანბატონის შუამდგომლობითა და კავკასიის მეფისნაცვლის, მიხეილ ვორონცოვის ბრძანებით რაფიელ ერისთავი ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის განსაკუთრებულ მინდობილობათა უფროსი მოხელისა და თარჯიმნის თანამდებობაზე დაინიშნა. აღნიშნულის გარდა, მან შეითავსა ქუთაისის გუბერნიის პროკურორის მოვალეობა და 1856 წლის ივნისიდან აგვისტომდე გუბერნიის სამმართველოს პირველი განყოფილების მრჩეველობა.

ამავე პერიოდში სრულდება მნიშვნელოვანი ეტაპი მის პირად ცხოვრებაში. მისი სიყვარული უარყოფილ იქნა, რამაც იმდენად დიდი დაღი დაამჩნია მის სულს, რომ ქორწინებაზე დიდხანს აღარც უფიქრია. სწორედ ამ დროს დატოვა თბილისი და გადავიდა იმერეთში.

1855-1864 წლებში რაფიელ ერისთავს აქტიური ურთიერთობა აქვს ადოლფ ბერჟესთან. რ. ერისთავის ფონდში დაცული ბერჟეს წერილებიდან ირკვევა, რომ ის რაფიელს უგზავნის გაზეთებს, წიგნებს და სხვა მისთვის საინტერესო მასალას. რაფიელ ერისთავი კი, თავის მხრივ, აწვდის მას მარი ბროსესთვის საჭირო ისტორიულ დოკუმენტებს, მათ შორის, მარტვილის, ცაიშის და ხობის მონასტრების გუჯრების პირებს.

10 აპრილი – საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება რ. ერისთავს აცნობებს, რომ ის მისი სამეცნიერო ნაშრომების გამო არჩეულია საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების საზოგადოების ნამდვილ წევრად.

გაზეთ «Кавказь»-ში (№33) ქვეყნდება «Мои заметки: Мысли по поводу древних церквей в Грузии; праздник храмовый, во имя Св. Иоанна Крестителя; подвиг Тушинки; слепой Тушин и его песни; несколько слов о тушинском наезднике Шете и его сыновьях».

ამიერკავკასიის ალმანახში «Зурна» ქვეყნდება მოთხრობა „Оборванец“ (Закавказский альманах «Зурна», издание Е. В. Вердеревского, 1855). ამ ნაწარმოების ქართული თარგმანი „ბეჩავის“ სახელწოდებით საუკუნით გვიან იბეჭდება ჟურნალ „მნათობში“ (№8, 1955). რაფიელ ერისთავის მოთხრობა ალმანახის ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვაში რუსმა ლიტერატორებმა ვლ. სოლოგუბმა (Кавказь, 1855, №59) და ნ. ჩერნიშევსკიმ (Современник, СПб, 1855, Т. 52) დადებითად შეაფასეს.

10 ივნისი – „გუბერნიის სეკრეტარი“ რაფიელ ერისთავი რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიულმა საზოგადოებამ წევრ-თანამშრომლად აირჩია (კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №154/7).

სანკტ-პეტერბურგიდან გუბერნიის „სეკრეტარი“ – თავადი რაფიელ ერისთავი დასტურად იმისა, რომ ის არჩეულია საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების ნამდვილ წევრად საიმპერატორო რუსული გეოგრაფიული საზოგადოებისაგან დიპლომს იღებს.

25 ივნისი – ევგრაფ ვერდერევსკის წერილი რაფიელ ერისთავს. ვერდერევსკი ამ წერილით რაფიელს აცნობებს, რომ გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილების სხდომა დანიშნულია 27 ივნისს, საღამოს 7 საათზე. სთხოვს, მანამდე ეწვიოს მომდევნო დღის 12 საათისთვის.

19 ოქტომბერი – რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება რ. ერისთავს მადლობას უხდის ამავე განყოფილების მუზეუმში გაწეული შრომატევადი საქმიანობისათვის (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №156/7*).

23 ნოემბერი – 25 დეკემბერი – რუსეთის საიმპერატორო გეოგრაფიული საზოგადოების კავკასიის განყოფილება აცნობებს რაფიელს, რომ კავკასიის განყოფილებაში არსდება გეოგრაფიული, სტატისტიკისა და ეთნოგრაფიული განყოფილებები, რომ ის თავისუფალია არჩევანში და სთხოვენ, აცნობოს საზოგადოების განყოფილებას, თუ რომელ მათგანს მიანიჭებს უპირატესობას. აქვეა რაფიელის ფანქრით შესრულებული ხელნაწერი (შავი პირი), რომლის მეშვეობითაც ირკვევა, რომ მან ეთნოგრაფიული განყოფილება აირჩია (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №157/7*).

1856

27 დეკემბერი – კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოება მიმართავს რ. ერისთავს ცნობით, რომ ის არჩეულია საზოგადოების ნამდვილ წევრად. აქვეა რაფიელის ფანქრით შესრულებული ხელნაწერი (შავი პირი), რომელშიც ის მადლობას უხდის ამ პატივისათვის კავკასიის სოფლის მეურნეობის საზოგადოებას (*კკსსხეც, რაფიელ ერისთავის არქივი №158-10*).

იმერეთში სამსახური მისთვის, როგორც ქართველისათვის, რთული აღმოჩნდა. მას დიდად დაეხმარა აქტიური საზოგადოებრივი ცხოვრება და მისი თანმდევი ინტერესი – მხარისა და მისი მოსახლეობის ყოფის კვლევა.

იმერეთში მუშაობის პერიოდში მოიარა სიმონეთი, ძეგრი, ჩხარი, საჩხერე. საჩხერეში ალექსანდრე წერეთლის წიგნსაცავში მიაკვლია ალექსანდრე გრიბოედოვის კომედიის „ვაი ტკუისაგან“ დედანს. ასევე, ნახა ორი სტამბის ნაშთი, რომელიც სოლომონ მეფის თურქეთში წასვლის შემდეგ გრიგოლ წერეთელს გადმოუტანია ქუთაისიდან საჩხერეში.

1856 წლის 27 ოქტომბრიდან 27 ნოემბრამდე, ერთი თვის მანძილზე, მართავდა ახალციხის მაზრას.

ადოლფ ბერჟეს რაფიელისადმი მიწერილი წერილიდან ჩანს, რომ ამ პერიოდში რაფიელ ერისთავი სპექტაკლის დადგმას აპირებდა.

გაზეთ «Кавказь»-ში (№8) აქვეყნებს წერილს «Кутаись (Из письма к Ад. Берже). Движение Омер-паши...». ბერჟესადმი მიწერილ წერილში ავტორი უარყოფს ომერ-ფაშას მეტაურობით თურქების შემოსევის შიშით ქუთაისის დაცარიელების შესახებ გავრცელებულ ხმებს.

გაზეთ «Кавказь»-ში (№14) აქვეყნებს წერილს «Шете Гулухаидзе (Тушинский белადи)», სადაც საუბარია შამილის წინააღმდეგ მეზრძოლ თუმ გმირზე.